



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1352

23 / სექტემბერი / 2020 წ.



KA000047941638220

შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფოთის სატრანსპორტო კომპანიის" წესდების დამტკიცების, დირექტორის დანიშვნისა და გასათარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 106¹-ე მუხლის მე-13 პუნქტის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივლისის N13/47 განკარგულების შესაბამისად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაფუძნდეს შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფოთის სატრანსპორტო კომპანია".
2. დამტკიცდეს შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფოთის სატრანსპორტო კომპანიის" წესდება თანახმად დანართისა.
3. შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფოთის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორად დაინიშნოს ლადო გუნიავა (მცხოვრები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, რეკავას ქუჩა N3/17, პ/ნ 01011017792) 2020 წლის 25 სექტემბრიდან. დირექტორზე შრომის ანაზღაურება გაიცეს 2020 წლის 1 ოქტომბრიდან.
4. შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფოთის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორს დაევალოს უზრუნველყოს შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფოთის სატრანსპორტო კომპანიის" დაფუძნებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, აღნიშნული ბრძანების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია და ყველა ქმედების განხორციელება, რომელიც ეხება აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.
5. შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფოთის სატრანსპორტო კომპანიამ" სამეურნეო საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 1 ოქტომბრიდან.
6. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილების მე-6 მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი განთავისუფლებულია რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად 

გონა კურდღელია